



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ93. 93223602

თარიღი:26/12/2022

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთათვის წახალისების სახით ფულადი ჯილდოს განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-59 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-11 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N203 დადგენილების „პროფესიული საჯარო მოხელის წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების შედეგების გათვალისწინებით, აპარატის მოხელეებზე წახალისების სახით გაიცეს ფულადი ჯილდო, კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე,დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების ფინანსურ ნაწილზე კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცირი
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

